განმარტებითი ბარათი

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი"), შორის სასესხო შეთანხმების (ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა)" შეწყვეტის შესახებ წერილ-შეთანხმების" თაობაზე

2020 წლის 26 მარტის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილის ,,სწრაფი ფინანსური მხარდაჭერა კოვიდ-19-ს კრიზისის განმავლობაში" საფუძველზე რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი თანხმდება მხარეებთან - ფინანსთა სამინისტროსთან და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომ საქართველოსთის გადაუდებელი ფინანსური დახმარების აღმოსაჩენად მოამზადოს ახალი პროგრამა „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და კრიზისის მიმართ მდგრადობის გასაძლიერება", რომლის დაფინანსებაც 180 მილიონი ევროა. ფინანსური რესურსის ძიების პროცესში გაირკვა, რომ შესაძლებელი იყო თანხების გამოთავისუფლება და გადაწყდა შეცვლილიყო ორი სასესხო შეთანხმება, რომელთაგან ერთი ეხება KfW-სა და საქართველოს შორის 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილ სასესხო შეთანხმებას „ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა" (გაფორმებული 60 მლნ ევროზე) და მეორე, რომელიც ეხება 2018 წლის 24 აგვისტოს KfW-სა და სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას შორის ხელმოწერილ სასესხო შეთანხმებას „სამგორის სამხრეთ ნაწილის მიწისქვეშა გაზის საცავისთვის" (გაფორმებული 150 მლნ ევროზე. აღნიშნული დაფინანსებიდან მოხდა 120 მილიონი ევროს რეპროგრამირება).

ახალი პროგრამის ფარგლებში გამოსაყოფი თანხა წარმოადგენს ბიუჯეტის მხარდამჭერ სესხს და პირდაპირ მიიმართება ბიუჯეტში. თანხის ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პროგრამის „განვითარების პოლიტიკის ღონისძიება ეკონომიკური მართვისა და კონკურენტუნარიანობისთვის" (DPO) (DPO - 45 მლნ ევრო, დამატებითი DPO - 45 მლნ ევრო) ფარგლებში წარმოდგენილი ღონისძიებების შესრულება, ეკონომიკის მართვისა და კონკურენციის გაძლიერების მიმართულებით და დამატებით ასევე კოვიდ-19 პანდემიის კრიზისის დროს მდგრადობის ხელშეწყობის მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში არსებული ყველა ღონისძიება შესრულებულია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საქართველოს შორის მიმდინარე წლის 7 აგვისტოს გაფორმდა „ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა" შეწყვეტის შესახებ წერილ-შეთანხმება.

აღსანიშანავია რომ KfW არ ითხოვს სახსრების მიუღებლობის კომპენსაციის გადახდას ბათუმის სასესხო შეთანხმების 3.6 მუხლის შესაბამისად. ამასთანავე, ბათუმის სასესხო შეთანხმების 4.1 მუხლის თანახმად, 0.25% წლიურად გადასახდელი ვალდებულების გადასახდელი ჩამოიჭრება რეტროაქტიულად, იმ პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 7 აპრილს (სესხის დადებიდან ექვსი თვის შემდეგ) და გაგრძელდება ძალაში შესვლამდე. აღსანიშნავია ასევე, რომ ადმინისტრირების გადასახადის (Management Fee) გადახდა არ მოაზრება ახალი სასესხო შეთანხმების („პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი (PBL) „საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და კრიზისის მიმართ მდგრადობის გასაძლიერებლად") შემთხვევაში, ვინაიდან უკვე გადახდილია ბათუმის სასესხო შეთანხმების ფარგლებში. თუმცა როგორც აღნიშნულია „ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა" სასესხო შეთანხმების შეწყვეტის შესახებ წერილ-შეთანხმებაში, ნებისმიერი გადასახადი, რომელიც უკვე გადახდილია სესხის შეწყვეტის ძალაში შესვლამდე, ზემოაღნიშნული სასესხო შეთანხმების ფარგლებში, არ იქნება ანაზღაურებული KfW-ის მიერ.